## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №180/L-ო

თბილისი „17“ 12 2012წ.

**1. ხელშეკრულების დამდები მხარეები**

1.1. ერთის მხრივ, სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო" (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილ მისი დირექტორის ანა ჩაჩხუნაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „სოკარ ჯორჯია გაზი ქართლ (შემდგომში - ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ლეკიშვილის სახით.

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1 შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საკუთარი შემოსავლების ფარგლებ სააგენტოს ფილიალის დუშეთის შშმპ პანსიონატის საჭიროებისთვის გაზმომარაგების სამონტა (კლასიფიკატორის კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი– 45200000 - სამუშაოები მთლიანი ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები, კლასიფიკატორ დანაყოფი– 45231221 - გაზმომარაგების მაგისტრალების მშენებლობა) სამუშაოების შესყიდვაზე მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება შეასრულოს ზემოაღნიშნული სამუშაო 1957,42 (ერთი ათ ცხრაასორმოცდაჩვიდმეტი ლარი, 42 თეთრი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების საერთ ღირებულება").

2.2 ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობი გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

**3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები**

3.1. სამუშაოების ჩამონათვალი და ღირებულება მითითებულია ხელშეკრულების დანართში #1.

**4. საქონლის მიწოდების პირობები**

4.1. სამუშაოს გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამ კალენდარული დღის განმავლობაში, დუშეთის შშმპ პანსიონატში, მისამართი: დუშეთი სო პირმისაანთკარი.

**5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება–ჩაბარების აქტით, ფაქტიურა გაწეული სამუშაოს შესაბამისად.

5.2 მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს გაწეული სამუშაოს შესახებ მიღება-ჩაბარების აქტ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამის ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან) და სასაქონლო ზედნადებს დადგენილი წესის მიხედვით.

**6. ანგარიშსწორების პირობები**

6.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

6.3 ფაქტიურად გაწეული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთჯერადად ხელშეკრულების 5.2 პუნქტში მითითებული დოკუმენტებისა და ინსპექტირების დასკვნის საფუძველზ აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში.

**7. მხარეთა ვალდებულებები**

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1 შემსყიდველს გაუწიოს სამუშაო წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად დ უზრუნველყოს თანხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.2. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.3 დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
7.2.1 უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" გაწეული სამუშაოს საფასაურის გადახდა.
7.2.2 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება
8.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:
8.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:
8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.
8.2.2 უარი განაცხადოს უხარისხო სამუშაოს მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი
9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორულ გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათ კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწა გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიურ მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტ ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარე რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდ გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევ მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობი პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვი აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახო ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნები ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობები შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინო მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინო მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახი რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა
11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით

მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთ დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარება ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართო საქართველოს სასამართლოს.

**12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მის შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღი ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთა დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ე გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

**13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

13.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობი შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ი ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებები შესრულებისაგან.

13.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულები ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

**14. ხელშეკრულების შეწყვეტა**

14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2 ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

14.1.3 ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

14.1.4 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**15. ინსპექტირების პირობები**

15.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სააგენტოს ფილიალის დუშეთის შშმპ პანსიონატის უფროსი დარეჯან თომაძე.

15.2 წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:

15.2.1 გაწეული სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

15.2.2 ინსპექტირების დასკვნის მომზადება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;

15.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება;

**16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1 ხელშეკრულება შედგენილია  გვერდზე 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბ
იურიდიული ძალა აქვს.

17.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან" სამი ეგზემპლარი
„შემსყიდველთან"

„შემსყიდველი"
სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"
ქ. თბილისი წერეთლის გამზ. #144
ს/ს „საქართველოს ბანკი"
კოდი # BAGAGE22
ა/ა # GE71BG0000000285154700
ს/კ # 202465153

ანა ჩაჩხუნაშვილი
დირექტორი

„მიმწოდებელი"
შპს „სოკარ ჯორჯია გაზი ქართლი"
ქ. მცხეთა , ვაჟა–ფშაველას ქ. #1
ს/ს „ტაოპრივატ ბანკი"
ბანკის კოდი № BAGAGE22
ა/ა № GE25BG0000000215982500
ს/კ №236096425

დავით ლეკიშვილი
დირექტორი

1.11.2012წ

დასახელება

# ლოკალურ–რესურსული ხარჯთაღრიცხვა №ფ/171

## შ.შ.მ.პ. პანსიონატის შენობის გაზმომარაგება

ქ. დუშეთი

| | ნორმატივის ნომერი და შიფრი | სამუშაოების და დანახარჯების დასახელება | განზ. ერთ | რაოდენობა | სახარჯთაღრიცხვო ღირებულება [illegible] | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | განზ. ერთ | მთლიანი | მათ შორის | |
| | | | | | | | ხელფასი | მექანიზმ |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| | ს.ნ.წ.24-4-1 | ფოლადის მილი დ-50მმ მონტაჟი პნ გამოცდ. | გრძ/მ | 30.5 | 3.62 | 110.41 | 94.55 | 15.86 |
| | საბაზრო | ფოლადის მილი დ-50მმ ღირებულება | გრძ/მ | 30.5 | 6.46 | 197.03 | | 197.03 |
| | ს.ნ.წ.24-4-1 | ფოლადის მილი დ-20მმ მონტაჟი პნ გამოცდ. | გრძ/მ | 5 | 2.42 | 12.10 | 9.5 | 2.60 |
| | საბაზრო | ფოლადის მილი დ-20მმ ღირებულება | გრძ/მ | 5 | 2.51 | 12.55 | | 12.55 |
| | ს.ნ.წ.24-4-1 | ფოლადის მილი დ15მმ მონტაჟი პნ გამოცდ. | გრძ/მ | 6 | 2.42 | 14.52 | 11.4 | 3.12 |
| | საბაზრო | ფოლადის მილი დ-15მმ ღირებულება | გრძ/მ | 6 | 1.98 | 11.88 | | 11.88 |
| | | | | | | | | |
| | საბაზრო | ფოლადის მილი დ-100მმ(ბალონისთვის) ღირებუ. | გრძ/მ | 5 | 14.19 | 70.95 | | 70.95 |
| | საბაზრო | ფოლადის მილი დ-40მმ(ბალონისთვის) ღირებუ. | გრძ/მ | 7 | 4.94 | 34.58 | | 34.58 |
| | ს.ნ.წ.22-36-1 | გარცმის მილის დ-40მმ დ-76მმ მოწყობა | გრძ/მ | 2 | 6.23 | 12.46 | 5.72 | 6.74 |
| | საბაზრო | ფოლადის მილის დ-40მმ ღირებულება | გრძ/მ | 1 | 4.94 | 4.94 | | 4.94 |
| | საბაზრო | ფოლადის მილის დ-76მმ ღირებულება | გრძ/მ | 1 | 8.69 | 8.69 | | 8.69 |
| | | | | | | | | |
| | ს.ნ.წ.16-12-1 | ონკანების მონტაჟი | ც | 5 | 3.5 | 17.5 | 15 | 2.5 |
| | საბაზრო | ონკანი დ-15მმ ღირებულება | კომპლ | 1 | 9.64 | 9.64 | | 9.64 |
| | საბაზრო | ონკანი დ-20მმ ღირებულება | კომპლ | 2 | 14.27 | 28.54 | | 28.54 |
| | საბაზრო | ონკანი დ-40მმ ღირებულება | ც | 1 | 40.35 | 40.35 | | 40.35 |
| | საბაზრო | ონკანი დ-50მმ ღირებულება | კომპლ | 1 | 66.9 | 66.90 | | 66.90 |
| | | | | | | | | |
| | საბაზრო | გაზის მრიცხველი ჟ-40 (ტ) მონტაჟი | ც | 1 | 70 | 70 | 55 | 15 |
| | საბაზრო | გაზის მრიცხველი ჟ-40 კორექტორით ღირებულებ | ც | 1 | 0 | 0 | | 0 |
| | საბაზრო | გაზის მრიცხველის ყუთი | ც | 1 | 101 | 101 | | 101 |
| | | | | | | | | |
| | საბაზრო | წნევის რეგულატორის AKF-90მმ/სთ მონტაჟი | ც | 1 | 40 | 40 | 30 | 10 |
| | საბაზრო | წნევის რეგულატორის AKF-90მმ/სთ ღირებუ. | ც | 1 | 319.14 | 319.14 | | 319.14 |
| | საბაზრო | წნევის რეგულატორის ყუთი | ც | 1 | 38.51 | 38.51 | | 38.51 |
| | | | | | | | | |
| | საბაზრო | მუხლი დ-40მმ ღირებულება | ც | 4 | 3.22 | 12.88 | | 12.88 |
| | საბაზრო | მუხლი დ-50მმ ღირებულება | ც | 12 | 4.75 | 57.00 | | 57.00 |
| | საბაზრო | მუხლი დ-20მმ ღირებულება | ც | 6 | 1.36 | 8.16 | | 8.16 |
| | ს.ნ.წ.22-29-3 | დამხშობი დ-100მმ მოწყობა | ც | 2 | 5.12 | 10.24 | 3.66 | 6.58 |
| | საბაზრო | სამაგრი დეტალი | ტნ | 0.038 | 1034.93 | 39.33 | | 39.33 |
| | საბაზრო | გაზსადენის შეღებვა | მ2 | 10.05 | 2.42 | 24.32 | 16.88 | 7.44 |
| | საბაზრო | მასალების (შიდა) ტრანსპორტირება | ლარი | | | 15 | 15 | |
| | საბაზრო | საპროექტო თანხა | ლარი | | | 50.32 | 50.32 | |
| | | | | | | 1438.94 | 307.03 | 1131.90 |
| | | ზედნადები ხარჯები 8% | | | | 115.12 | | |
| | | | | | | 1554.05 | | |
| | | გეგმიური დაგროვება 6% | | | | 93.24 | | |
| | | | | | | 1647.30 | | |
| | | ტექ. ზედამხედველობა 0.7% | | | | 11.53 | | |
| | | | | | | 1658.83 | | |
| | | დღ-გ. 18% | | | | 298.59 | | |
| | | | | | | 1957.42 | | |

შეადგინა /[illegible]შვილი/ შეამოწმა /[illegible]შვილი/

დამკვეთი შემსრულებელი